ხელშეკრულება

სახელმწიფო შესყიდვების შესახებ №56

(კონსოლიდირებული ტენდერი CONCON160000056)

(30200000-კომპიუტერული მოწყობილობები და აქსესუარები)

თბილისი 20 აპრილი 2017 წ.

ერთის მხრივ ა(ა)იპ „ქ. თელავის სპორტულ კლუბთა გაერთიანება თელავი“ (შემდგომში „შემსყიდველი“), წარმოდგენილი მისი დირექტორის გურამი გურაბანიძის სახით, მეორეს მხრივ **შპს „იუ–ჯი–თი”**(შემდგომში „მიმწოდებელი“), წარმოდგენილი მისი გენერალური დირექტორის, ერმილე სულაძის სახით, ვხელმძღვანელობთ რა კონსოლიდირებული ტენდერის სატენდერო დოკუმენტაციის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2014 წლის 15 დეკემბრის №12 ბრძანებით დამტკიცებული „სტანდარტული პერსონალური და სტანდარტული პორტაბელური/სატარებელი კომპიუტერების კონსოლიდირებული ტენდერის ჩატარების წესისა და პირობების, სტანდარტული პერსონალური კომპიუტერების 2017 წლის კონსოლიდირებული ტენდერის სატენდერო დოკუმენტაციით, აგრეთვე საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებული ტერმინთა განმარტებები

1.1 „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომში - „ხელშეკრულება“) - შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, თანდართული ყველა დოკუმენტით, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

1.2 „ხელშეკრულების ღირებულება“ - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3 “შემსყიდველი ორგანიზაცია” (შემდგომ “შემსყიდველი”) ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებულებას), რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

1.4 “მიმწოდებელი” ნიშნავს პირს, რომელიც აწვდის საქონელს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში;

1.5 „დღე“, „კვირა“, „თვე“ - კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.6 სამუშაო დღე ნიშნავს კალენდარულ დღეს შაბათის, კვირისა და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული უქმე დღეების გარდა.

1.7 თუ ხელშეკრლებით გათვალისწინებული ვადის უკანასკნელი დღე ემთხვევა უქმე ან დასვენების დღეს, ვადის დამთავრების დღედ ჩაითვლება მისი მომდევნო პირველი სამუშაო დღე.

1.8 „საქონელი“ - ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

1.9 „ფორსმაჟორი“ - ,,მხარეები“ -სათვის გადაულახავი და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელი გარემოებები, რომლებიც არ არიან დაკავშირებულნი ,,შემსყიდველისა“ და/ან ,,მიმწოდებლის“ შეცდომებსა და დაუდევრობასთან, და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, საომარი მოქმედებებით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და სხვა მოვლენით, რომელიც შეუძლებელს ხდის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულებას ან/და იწვევს არათანაზომიერად დიდ ხარჯებს მათ შესასრულებლად.

2. ხელშეკრულების საგანი და ობიექტი

ხელშეკრულების საგანია შემსყიდველის მიერ 2 (ორი) ცალი სტანდარტული პერსონალური მაგიდის კომპიუტერი - სტანდარტული დესკტოპის (კომპლექტი: სისტემური ბლოკი, მონიტორი, კლავიატურა, მაუსი) შემდგომში „საქონელი“) სახელმწიფო შესყიდვა დანართი №1–ის, დანართი №2-სა და წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

3. სახელშეკრულებო ღირებულება

ხელშეკრულების საერთო ღირებულებაა (შემდგომში „სახელშეკრულებო ღირებულება“) 2274 (ორი ათას ორასსამოცდათოთხმეტი) ლარი, დღგ-ს ჩათვლით.

4. მხარეთაუფლებებიდაურთიერთვალდებულებები

4.1 მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მიწოდება წინამდებარე ხელშეკრულებითა და სატენდერო დოკუმენტაციითდადგენილი პირობების შესაბამისად;

ბ) უზრუნველყოს მისთვის ხელშეკრულებით გათვალისწინებული რაოდენობის სტანდარტული პერსონალური კომპიუტერ(ებ)ის მიწოდება სატენდერო დოკუმენტაციით დადგენილი ვადების მიხედვით, კერძოდ, განახორციელოს სტანდარტული პერსონალური კომპიუტერების მიწოდება შემსყიდველ ორგანიზაციასთან ხელშეკრულების დადების შემდეგ, მისი პირველი მოთხოვნიდან (მიუხედავად პირველი მოთხოვნით გათვალისწინებული რაოდენობისა) არაუგვიანეს 45 სამუშაო დღის ვადაში, ხოლო ყველა შემდგომი მოთხოვნის შემთხვევაში – მოთხოვნიდან (მიუხედავად მოთხოვნით გათვალისწინებული რაოდენობისა) არაუგვიანეს 15 სამუშაო დღის ვადაში.

გ) გაავრცელოს სტანდარტულ დესკტოპებზე 3 (სამი) წლიანი საგარანტიო მომსახურება, რომლის მიხედვითაც, მისი დაზიანების შემთხვევაში 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში შეაკეთებს ან შეცვლის მას ახლით. საგარანტიო მომსახურება ასევე უნდა გავრცელდეს იმ სტარნდარულ დესკტოპებზე, რომლებზეც შემსყიდველი ორგანიზაციის გადაწყვეტილებით უნდა დამონტაჟდეს ოპტიკური დისკის წამკითხავი (DVD ROM);

დ) უზრუნველყოს კონსოლიდირებული ტენდერის სატენდერო წინადადებით გათვალისწინებულ მომსახურების პუნქტებზე შესაბამისი მომსახურების გაწევა;

ე)სათანადო გულისხმიერებითა და პასუხისმგებლობით ითანამშრომლოს შემსყიდველ ორგანიზაციასთან, განიხილოს მისი მოსაზრებები, პრეტენზიები და მიაწოდოს მოტივირებული წერილობითი პასუხი ყველა საკითხზე;

ვ) ხელი შეუწყოს შემსყიდველს ინსპექტირების განხორციელებისას;

ზ) უზრუნველყოს სატენდერო დოკუმენტაციითა და ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული სხვა ვალდებულებების შესრულება.

4.2მიმწოდებელიუფლებამოსილია,მოსთხოვოსშემსყიდველორგანიზაციასხელშეკრულებითა დაშესაბამისისატენდეროდოკუმენტაციითგათვალისწინებულიმასზედაკისრებულივალდებულე ბებისშესრულება.

4.3შემსყიდველივალდებულია:

ა) აუნაზღაუროს მიმწოდებელს ხელშეკრულების ღირებულება ხელშეკრულების პირობებში ასახულ ვადებში და ფორმით;

ბ) უზრუნველყოს მიმწოდებლისაგან შესყიდული სტანდარტული დესკტოპის ტრანსპორტირება საკუთარი ხარჯებით, ასევე უზრუნველყოს მიმწოდებლის ტექნიკური მხარდაჭერის/შეკეთების პუნქტებში სტანდარტული დესკტოპის ტრანსპორტირება.

გ) სათანადო გულისხმიერებითა და პასუხისმგებლობით ითანამშრომლოს მიმწოდებელთან, შეათანხმოს საქონლის მოთხოვნისა და მიწოდების საორიენტაციო ვადები. განიხილოს მისი

მოსაზრებები, პრეტენზიები და მიაწოდოს მოტივირებული წერილობითი პასუხი ყველა საკითხზე;გურამი გურაბანიძე;

დ) უზრუნველყოს სატენდერო დოკუმენტაციითა და ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული სხვა ვალდებულებების შესრულება;

ე) უზრუნველყოს ხელშეკრულების შესრულების კონტროლი;

4.4შემსყიდველიუფლებამოსილია,მოსთხოვოსმიმწოდებელსხელშეკრულებითადაშესაბამისის ატენდეროდოკუმენტაციითგათვალისწინებულიმასზედაკისრებულივალდებულებებისშესრულე ბა.

5. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

5.1. შემსყიდველის მხრიდან ხელშეკრულების შესრულების კონტროლს (ინსპექტირებას) განახორციელებს

5.2. ხელშეკრულების პირობებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით, შემსყიდველი უფლებამოსილია საქონლის მოწოდებისას, საკუთარი ხარჯით, მის მიერ შერჩეული მეთოდით შეამოწმოს მოწოდებული საქონლის ხარისხი.

6. საქონლის მიწოდების პირობები, ადგილი და ვადები

6.1. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადაა შემსყიდველის მიერ მისი მოთხოვნიდან არაუგვიანეს 45 (ორმოცდახუთი) სამუშაო დღე, ხოლო ყველა შემდგომი მოთხოვნის შემთხვევაში – მოთხოვნიდან (მიუხედავად მოთხოვნით გათვალისწინებული რაოდენობისა) არაუგვიანეს 15 სამუშაო დღე. შემსყიდველის მიერ საქონლის მოთხოვნა უნდა განხორციელდეს ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ ელ. ფოსტის მეშვეობით (შემსყიდველის ელ. ფოსტის მისამართი: scu_telavi@yahoo.com მიმწოდებლის ელ. ფოსტის მისამართი Gela.gaprindashvili@ugt.ge);

6.2. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილია: ქ. თბილისი, ი.ჭავჭავაძის გამზ №17ა

6.3. მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველს მიაწოდოს საქონელი ქარხნული წესით შეფუთულ მდგომარეობაში;